



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 124

2 აპრილი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 მარტის №21.385.441 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №0121067130-67 (№01210783181-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01210812924

თარიღი: 22/03/2021

პინი: 1312

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 19 მარტის №01210783181-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩის №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.05.09.347; ფუნქციური ზონა: სასოფლო-სამეურნეო ზონა; საპროექტო ფუნქციური ზონა: სამრეწველო ზონა 1) სამრეწველო და სასაწყობო შენობა-ნაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამსახურმა იმსჯელა მიმდინარე წლის 8 მარტის №0121067130-67 განცხადების ფარგლებში და დააფიქსირა დადებითი პოზიცია სამრეწველო და სასაწყობო შენობა-ნაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით.

აქვე გაცნობებთ, რომ ვინაიდან არ იკვეთება ახალი გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი, რომელიც გეგნობათ 2021 წლის 18 მარტის №01210772365 წერილით.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული მტკიცება





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.385.441
24 / მარტი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 8 მარტის N0121067130-67 (N01210783181-67) განცხადებით მიმართა დავით გოგოხიამ (პ/ნ 01027003210) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ფონიჭალაში, გზაკარის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347). ტერიტორიის საერთო ფართობი: 70 000 კვ.მ. სამხრეთიდან ესაზღვრება ვერისის ქუჩა, რომელიც წარმოადგენს მთავარ მისასვლელ გზას, ხოლო დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან - კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. ტერიტორია ხასიათდება მარტივი რელიეფით, ნიშნულებს შორის სხვაობა 3 მეტრი. მიწის ნაკვეთზე არ აღინიშნება ხე-ნარგავები.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ).

„ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N350 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

შემოთავაზებული წინადადებით, საწარმოო კომპლექსის მოწყობის მიზნით იგეგმება არსებული სასოფლო სამეურნეო ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

$k_1=0.6$; $k_2=0.8$; $k_3=0.2$.

მაქსიმალური სიმაღლე-სართულიანობა:

შენობის მაქსიმალური სიმაღლეა 15 მ

მაქსიმალური სართულიანობა 3 სართული.

ამასთან, N81.05.09.347 მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი მდებარეობს სსე-ს 220 ათასი ვოლტი (220 კვ) საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის - „ნავთლული“-ს ხაზის დაცვის ზონაში. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 2020 წლის 23 სექტემბრის N3357/05 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილია თანხმობა შენობის განთავსებასთან დაკავშირებით. თუმცა, ვინაიდან, დეტალური არქიტექტურული პროექტის სტადიაზე შეიძლება შეიცვალოს შენობასთან მისასვლელი გზის კონტური,



მანქანა-მექანიზმების გადაადგილება დადგენილი ხაზის დაცვის ზონაში შეთანხმებულ უნდა იქნეს აღნიშნულ უწყებასთან.

ასევე, N81.05.09.347 მიწის ნაკვეთზე გაედინება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=200 მმ-იანი ქსელი. აღნიშნული კომუნიკაციიდან დაცულია სანიტარული უსაფრთხოების მინიმალური ზოლი 10 მ ორივე მხრიდან. დეტალური პროექტირებისას ასევე, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ არეალში იკრძალება მრავალწლიანი ხე-ნარგავების დარგვა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწიონ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 22 მარტის N01210812924 (N01210772365) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N81.05.09.347 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს სამრეწველო და სასაწყობო შენობანაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 18 მარტის N01210773667 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0121067130-67 (N01210783181-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასანივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia. ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704, +995 322 510101



2977-05-2-202008251320

N 2977/05

25/08/2020

მოვალე დავით გოგობიას

მის: ქ. თბილისი, დიდი ხეივანის ქ. N56

ტელეფონი: 577 15 05 44

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ში შემოსულია თქვენი 20.08.2020 წლის N3485 წერილი და თანდართული მასალები, რომელიც ეხება N81.05.09.347 მიწის ნაკვეთზე სასაწყობო და მცირე საწარმო ობიექტის განთავსებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

N81.05.09.347 მიწის ნაკვეთი გარკვეული ნაწილი მდებარეობს სსე-ს 220 ათასი ვოლტი (220 კვ) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (სეგზ) „ნავთლული“-ს ხაზის დაცვის ზონაში (იხილეთ თანდართული ნახაზი).

მაღალი ძაბვის ხაზობრივ ნაგებობას „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საანგარიშო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ. N257 დადგენილების მუხლი 50-ის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით მინიჭებული აქვს მე-5 კლასის ნაგებობის სტატუსი და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 96-ე მუხლის მიხედვით ხასიათდება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ფაქტორით. შესაბამისად, სეგზ-ს დაცვის ზონაში სამუშაოების ჩატარებისთვის კანონმდებლობით დადგენილია დაცვის სპეციალური ზომები, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წ. N 366 დადგენილებით: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“.

1. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონად დადგენილია, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადგენებიდან დაშორებულია 220 კვ ძაბვის სეგზ-ს შემთხვევაში 25 (ოცდახუთი) მეტრით.
2. მიწათმოსარგებლე ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ელექტრული ქსელის ხაზობრივ ნაგებობებთან მომსახურე პერსონალისა და ტექნიკის შეუფერხებელ მისვლას.
3. სეგზ-ის დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის შეუფერხებელი მუშაობის მოშლა (აკრძალულ სამუშაოთა ჩამონათვალი იხილეთ წესების მე-4 მუხლის პირველ პუნქტში);
4. სეგზ-ის ანძებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ სეგზ-ების არსებით შემადგენელ ნაწილებს და განეკუთვნებიან სეგზ-ის მფლობელის საკუთრებას;

www.gse.com.ge

5. აკრძალულია სეგზ-ის დაცვის ზონაში რამე სახის შენობა-ნაგებობის განთავსება და ნებისმიერი დანიშნულების ადამიანთა/ცხოველთა თავშესაფრელი ადგილების მოწყობა;

6. საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში აკრძალულია ქაფოსატყორცნი სარწყავი სისტემის მოწყობა, ასევე სარწყავების მოწყობა გაშეფების გზით;

7. უპირობოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სეგზ-ის ანძებთან, სადენებთან და ხაზის ნებისმიერ მონაკვეთთან მისასვლელი გზების არსებობა-შენარჩუნება, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მანქანა-მექანიზმების თავმოყრისა და ხაზის გეგმიური/კაპიტალური შეკეთების, გადაიარაღების, ავარიულ-აღდგენითი სამუშაოების შეუზღუდავად ჩატარების შესაძლებლობით;

8. დაცვის ზონაში მიწის ნაკვეთი დასაშვებია შემოიღობოს მსუბუქი/მარტივი სახის შემოღობვით: დენგაუმტარი, დიელექტრიკული მასალისაგან, ხოლო, მიწის ნაკვეთის დენგამტარი მასალით შემოღობვის შემთხვევაში, დაცული იქნეს შესაბამისი მოთხოვნები (დამიწების კონტურის მოწყობა და სხვა) რათა, თავიდან იქნას აცილებული ძაბვის გადასვლა შემოღობვაზე და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს შემოღობვის დაუბრკოლებლად გასვლა, მანქანა-მექანიზმების გადაადგილებისათვის.

9. სეგზ-ის დაცვის ზონაში ცალკეული სამუშაოები (შესაბამისი პირობების დაცვით) შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. უსაფრთხოების მიზნით, სამუშაოთა წარმოებისას სავალდებულოა ელექტრული ქსელის მფლობელი პირის წარმომადგენლის დასწრება;

10. მიწის ნაკვეთი, რომელიც მოქცეულია სეგზ-ის დაცვის ზონაში, დასაშვებია გამოყენებული იქნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით I წლიანი მცენარეების და მრავალწლიანი 4 მ-მდე სიმაღლის ხეების ნარგავებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11. სეგზ-ის სადენების ქვეშ, დაცვის ზონაში და მის სიახლოვეს სამუშაოთა წარმოებისას ნებისმიერ შემთხვევაში, სავალდებულოდ დაცული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების („ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობის დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“) სხვა დანარჩენი მოთხოვნებიც.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით N81.05.09.347 მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გასაცემად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შენობა-ნაგებობის განთავსების X-Y კოორდინატები მომზადებული UTM საერთაშორისო კოორდინატთა სისტემაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილ მიწის ნაკვეთებზე დასაშვებია სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოების წარმოება ზემოთ აღნიშნული წესით და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ასევე საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წ. N 366 დადგენილებით: „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ მე-4 მუხლის, 1 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით შესაძლებელია ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა განხორციელდეს დაინტერესებული პირის ხარჯით, ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად.

გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ განთავსებული შენობა-ნაგებობის X-Y კოორდინატები სსე-ში შესათანხმებლად.

დანართი: ნახაზი, 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

უჩა უჩანეშვილი

ქ. ჩუქ

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი



Source: Esri, DigitalGlobe, GeoEye, Earthstar Geographics, CNES/Airbus
DS, USDA, USGS, AeroGRID, IGN, and the GIS User Community



საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia. ტელ/ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101



N 3357/05

3357-05-2-202009231218

23/09/2020

მოქალაქე დავით გოგოხიას

მის: ქ. თბილისი, ვარკეთილის მს, მე-2 მ/რ, კორპუსი N1, ბინა N3

ელ-ფოსტა: gogoxiadavit@gmail.com

ტელეფონი: 577 15 05 44

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ში შემოსულია თქვენი 04.09.2020 წლის N3764 განცხადება და თანდართული მასალები, რომელიც ეხება N81.05.09.347 მიწის ნაკვეთზე სასაწყობო და მცირე საწარმო ობიექტის განთავსებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებით შემდეგს:

N81.05.09.347 მიწის ნაკვეთი გარკვეული ნაწილი მდებარეობს სსე-ს 220 ათასი ვოლტი (220 კვ) საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის (სეგზ) „ნავთლული“-ს ხაზის დაცვის ზონაში თუმცა განსათავსებელი შენობა-ნაგებობა მოქცეულია ხაზის დაცვის ზონის მიღმა (იხილეთ დანართი).

გთხოვთ დაგვიზუსტოთ მანქანა-მექანიზმების გადაადგილება ხაზის დაცვის ზონაში.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა წინააღმდეგი არ არის N81.05.09.347 მიწის ნაკვეთზე სასაწყობო და მცირე საწარმო ობიექტის განთავსების, თქვენს მიერ მოწოდებული კოორდინატების მიხედვით.

პატივისცემით,

უზა უჩანეიშვილი


მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეგულირების მმართველი



www.gse.com.ge

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
"GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM" JSC



Source: Esri, DigitalGlobe, GeoEye, Earthstar Geographics, CNES/Airbus DS, USDA, USGS, AeroGRID, IGN, and the GIS User Community



gwp

მატი ენერჯი უტრალოდ ნაალი
MORE THAN JUST WATER

№ 0620-0433650

D25. 08. 2020

ბატონ დავით გოგობიას

მისამართი: ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, კორპ. #1, ბინა #3

ტელეფონი: 577 15 05 44

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN20-0431916, თარიღი 20/08/2020წ.) ქ. თბილისი, გზისკარის ქ. #2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N81.05.09.347 მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N81.05.09.347 გაედინება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=200 მმ-იანი ქსელი (იხ. სქემატური ნახაზი).

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანაწიდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანაწიდან 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მიწებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მიწის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

GEORGIAN WATER AND POWER LTD

0179 თბილისი, მ. კოსტავას I შესახვევი №33
ტელ / Tel: +995 (32) 293 11 11; ფაქსი / Fax: +995 (32) 298 26 07
საიდენტიფიკაციო კოდი 203826002

№33, 1st Lane, M. Kostava str. 0179, Tbilisi, Georgia
ელ-ფოსტა / E-mail: info@gwp.ge / www.gwp.ge
Identification Code 203826002

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელებიდან 5 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენ-წყალარინების ქსელების გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ „კომპანია“ აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია“ იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.


ამასთანავე, „კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლოა გაედინებოდეს სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი


პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია
ტელეფონი: 293 11 11 (2102)



[illegible]



მეტის მაგვარი პრობლემა ნაშრომ / საქმიანობა	ნაკადის ფარგონი	კონკრეტული ფუნქციონირების	დამოკიდების სახეობა	დამოკიდების სახეობა, სიხშირე საქმიანობა	1	2	3	კომპლექსური საქმიანობა
A1	10000	b-1	b-1 დამოკიდების სახეობა, სიხშირე საქმიანობა		0,6 (4 000 ჰმ)	0,8 (55 000 ჰმ)	0,2	86


[illegible]

2500 mm

159

საბირველი ძრავის საფუძველი

საბირველი ძრავის საფუძველი

[illegible]

